

K293

ଓ. ৩১৬০৪০


କୁରାଣ ତୀର୍ଥମେଳା

କୁ ରୂ

ମାତୃଧର. 1949

დაბრუნეთ წიგნი დროზე
Возвратите книгу во время

Обязательный экземпляр



K 293
1

83. 2018-407984/6

ექიმი ის. გასილია

613

პირადი ჰიგიენა

აჭიქითს ასტრ სახელმწიფო ტაძერისა და
შათუმანი

1949



რას გვასწავლის პირადი ჰიგიენა

ჩვენს დიად სამშობლოში მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვაზე შეუნელებელი ზრუნვა ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ერთერთი უაღრესად მნიშვნელოვანი ამოცანაა.

ჭერ კიდევ 1918 წლის 11 ივლისს, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე თვეებში, დიდმა ლენინმა ხელი მოაწერა დეკრეტს ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის დაარსების შესახებ. დეკრეტში ჩაწერილია:

„რსფსრ ყველა სამედიცინო და სანიტარული საქმის გასაერთიანებლად დაარსდეს ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატი, რომელსაც დაევალოს ყველა სამედიცინო - სანიტარული დაწესებულებისადმი ხელმძღვანელობა“.

ბოლშევიკების პარტიამ ჯანმრთელობის
დაცვის საქმე სრულიად ახალ საფუძვლებ-
ზე ააგო, რომელიც ძირფესვიანად განს-
ხვავდება კაპიტალისტური ქვეყნების მედი-
ცინისაგან. პარტიისა და საბჭოთა ხელი-
სუფლების მხრივ სახალხო ჯანმრთელობის
საკითხისაღმი მიღვომას ახასიათებს შემდე-
გი მუხლი პარტიის პროგრამისა:

„საკ. კ. პ. (ბ) თავის მოქმედებას სახალ-
ხო ჯანმრთელობის დაცვის დარგში საფუძვ-
ლად უდებს უწინარეს, ყოვლისა ფართო
გამაჯანსაღებელი და სანიტარული ზომების
ჩატარებას, რომლების მიზანს შეადგენს
ავადმყოფობათა თავიდან აცილება“.

საბჭოთა ქვეყნის ყველა კუთხეში გაშ-
ლილია სამკურნალო პროფილაქტიკურ და-
წესებულებათა ფართო ქსელი. ხალხის ჯანმ-
რთელობის დაცვის სამსახურშია: სავად-
მყოფოები, სამშობიარო სახლები, დისპანსე-
რები, სამეცნიერო-კვლევითი ონსტიტუტები.
საბჭოთა სამედიცინო დარგის მუშაკები თა-
ვიანთს ყოველდღიურ მუშაობაში ახორ-
ციელებენ მოწინავე საბჭოთა მედიცინის

მიღწევებს. ჩვენი მედიცინა ემსახურება
ჩვენს ხალხს, და მთელი მისი მუშაობა იქით
არის მიმართული, რომ შესრულდეს დიდი
სტალინის მითითება: „ალიზარდოს
ახალი თაობა ჯანმრთელი და სიცოცხლით
სავსე მუშებისა, რომლებსაც უნარი ექნე-
ბათ განამტკიცონ საბჭოთა ქვეყნის ძლიე-
რება, მკერდით დაიცვან საბჭოთა ქვეყანა
შტრებისაგან“.

საბჭოთა— სახელმწიფო სისხლხორცეუ-
ლად დაინტერესებულია ადამიანის ჯანმ-
რთელობის განმტკიცების, მშრომელთა
შრომისუნარიანობის ამაღლების, სიცოცხ-
ლის გახანგრძლივებისა და ყოველი ახალ-
შობილი ბავშვის სიცოცხლის შენარჩუნე-
ბის საკითხებით. ამრიგად, როგორც მ.
კალინინმა თქვა, „ჩვენთან, სოცია-
ლისტურ ქვეყანაში, მუშის ჯანმრთელობის
დაცვა, გლეხის ჯანმრთელობის დაცვა — ძა-

რითადი სახელმწიფო ებრივის საგანია.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და კულტურული წინსვლისა და მოსახლეობის გამაჯან-საღებელ პირობათა ძირფესვიანი გაუმჯობესების შედეგად იმატა დაბადებულთა რიცხვმა, საგრძნობლად შემცირდა სიკვდილიანობა, განსაკუთრებით—ბავშვთა სიკვდილიანობა, თვალსაჩინოდ გადიდდა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა. ჩვენს ქვეყანაში ბევრი ცოცხლობს ას და მეტ წელსაც. უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის კომისიამ 1937 წელს აფხაზეთში ინახულა 105 წლის უსუფ გაბუნია, 109 წლის დაგუთურქია, 117 წლის მამჭირ კიუტი (მამსირი დღესაც ცოცხალია, 130 წლისაა) და 142 წლის თლაბაგან ქეცბა. ასზე მეტ წელს იცოცხლა მემედ-უსტა ანანიებმ (აჭარის ასსრ); ჯაბულია დარჩიამ (მახარაძის რაი-

ონი), მალაქია ბასილიამ (ჩოხატაურის რა-
იონი) და მრავალმა სხვამ.

ჯანმრთელობისა და ხანგრძლივი სიცო-
ცხლის საწინდარია მშრომელთა კეთილდღე-
ობის ამაღლება, მოსახლეობაში სანიტარუ-
ლი ცოდნის დანერგვა, შრომისა და საყო-
ფაცხოვრებო ისეთი პირობების შექმნა,
რომლებიც ადამიანის ჯანმრთელობის დაც-
ვას უზრუნველჰყოფს. ჩვენს ქვეყანაში
ფართოდ გაშლილი სამკურნალო პროფილაქ-
ტიკურ დაწესებულებათა ქსელი—ბავშვთა
ბალები და ბაგები, საბავშვო მოედნები, სარ-
ძეო საღგურები, სანატორიუმები, დასასვე-
ნებელი სახლები, დედათა და ბავშვთა კონ-
სულტაციები, სამშობიარო სახლები, ორ-
სულთა და ნამშობიარევთათვის საექიმო მე-
თვალყურეობა ბინებზე და სხვ., — მიზნად
ისახავს ერთ კეთილშობილურ ამოცანას:
უზრუნველჲყოს საბჭოთა ადამიანების ჯანმ-
რთელობა და ხანგრძლივი სიცოცხლე.

საბჭოთა სკოლებში სავალდებულოა ჯან-
მრთელობის დაცვის წესების შესწავლა, და-
წესებულია სანიტარული ზეღამხედველობა,
სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა წარ-
მოებს ნორმალურად გამთბარ, ტევადსა და
ნათელ შენობებში. მოწაფეები უზრუნველ-
ყოფილი არიან საღი კვებით, მათ არ მოე-
ლით არც გადაღლილობა, არც ფიზიკური
სიმახინჯე, არც სასკოლო სენით დაავადება,
რაც ხშირი იყო რევოლუციამდელ სკოლებ-
ში.

უდავოა, რომ აღმზრდის პირობები და
სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები დიდ
გავლენას ახდენენ მოზარდ ორგანიზმზე.
თუ ეს პირობები არ არის, მაშინ მოზარდი
ორგანიზმი ვერ აღწევს სრულ განვითარე-
ბას, ძაბუნდება, ჩამორჩება განვითარების
საშუალო ნორმებს. ამასთან დაკავშირებით
საინტერესოა მოვიტანოთ შემდეგი მასალე-
ბი: მკვლევარმა ბონდარევმა 1907 წელს
გამოიკვლია პეტერბურგის (ახლანდელი

ლენინგრადის) მუშათა შვილების ფიზიკური განვითარების ერთერთი მაჩვენებელი— სიმაღლე, უმცროსი სასკოლო ასაკისათვის. 1934 წელს ასეთივე გამოკვლევა აწარმოვა პროფესორმა ნათიშვილმა. თუ თრივე მკვლევარის მონაცემებს ერთმანეთს დაუპირისპირებთ, ასეთ სურათს მივიღებთ:

მოზარდის ასაკი (რამდენი წლისაა)	პეტერბურგელ მუშათა შვილე- ბის სიმაღლე (ბონდარევით)	თბილისელ მოწა- ფეთა სიმაღლე (ნათიშვილ-აბდუშე- ლიშვილით)
9 წლისა	116,7 სანტიმ.	126,8 სანტიმეტრი
10 "	122,2 "	131,2 "
11 "	126,1 "	135,1 "
12 "	129 "	139,2 "
13 "	134,6 "	144,5 "

ეს ცხრილი უკომენტარებოდაც მეტყველებს მოზარდთა ახლანდელი ფიზიკური განვითარების უპირატესობაზე მოზარდთა რევოლუციამდელ ფიზიკურ განვითარებასთან შედარებით.

ფაბრიკა-ქარხნებსა და საკოლმეურნეო

პლანტაციებში ყოველდღე ტარდება საფუძვლიანი ღონისძიებანი შრომის დაცვისა და მშრომელთა ჯანმრთელობის განმტკიცებისათვის. ჩვენი, საბჭოთა მუშა ან კოლმეურნე როდი ჰგავს რევოლუციამდელ მუშას ან გლეხს, რომელთა ჯანმრთელობას ფლობდა ექსპლოატატორი-კაპიტალისტი და მემამულე. საბჭოთა მუშები და სოციალისტური სოფლის მეურნეობის მშრომელნი აქტიურად მონაწილეობენ ახალი კომუნისტური საზოგადოების შენებაში, ჰქმნიან შრომის ახალ ფორმებს, ამაღლებენ შრომის ნაყოფიერებას, ამრიცვლებენ ქვეყნის დოკუმენტებს, კიდევ უფრო განამტკიცებენ შეძლებული, ჯანსაღი ცხოვრებისათვის საჭირო ყველა საფუძველს.

ჯანმრთელობის დაცვისა და სიცოცხლის გახანგრძლივების გარშემო ბევრი რამ თქმულა წარსულში, მაგრამ მშრომელს სად ჰქონდა იმის საშუალება, რომ კეთილი რჩევით ესარგებლნა. მას არც სახელმწიფო, არც საზოგადოება არ ეხმარებოდა. სულ სხვა მდგომარეობაა ახლა ჩვენთან, მარტო

ლიტონი რჩევითა და დარიგებით როდი
ამოიწურება ჭანმრთელობის დაცვისათვის
ბრძოლა, სანიტარულ განათლებას თან
ახლავს გამაჯანსაღებელი ლონისძიებები,
საბჭოთა სახელმწიფო ყოველდღიურად
ზრუნავს მშრომელთა საბინაო პირობების
გაუმჯობესებისათვის, შრომის დაცვისა და
საღი კვებისათვის, აგებს სანატორიუმებსა
და საავალმყოფოებს, ახორციელებს მრა-
ვალ გამაფრთხილებელ ლონისძიებას, მო-
სახლეობაში ნერგავს სანიტარულ კულტუ-
რას, მშრომელთ აცნობს მოწინავე საბჭო-
თა მედიცინის მიღწევებს.

მეცნიერებას, რომელიც ჭანმრთელობის
დაცვას გვასწავლის, ჰიგიენა ეწოდება.
აღამიანი ბუნებისა და საზოგადოების ნა-
წილია, ჰიგიენაც სწავლობს ბუნებისა და
საზოგადოების გავლენას ორგანიზმზე და
აღგენს ნორმებს საღი ცხოვრებისათვის. ჰი-
გიენა გვასწავლის როგორ უნდა დავიცვათ
ჭანმრთელობა ბუნების მავნე გავლენისა-
გან, როგორ უნდა გამოვიბრძმედოთ და შე-
ვიქმნათ ხელსაყრელი პირობები საზოგადო

სასარგებლო საქმიანობისათვის. ჰიგიენის
მიერ, დადგენილი ნორმები განმტკიცებუ-
ლია სახელმწიფო კანონმდებლობით.

საწარმოებში, სკოლებსა და კომუნალურ
ბინებში, აგრეთვე სახალხო კვების დარგში
ჯანსაღი ცხოვრების დადგენილ ნორმებს
იცავს საბჭოთა მედიცინის ისეთი ინსტი-
ტუტი, რომელსაც სახელმწიფო სანიტარუ-
ლი ინსპექცია ეწოდება. ჰიგიენური ნორ-
მების დანერგვის ყველაზე უფრო ძლიერი
იარაღია სანიტარულ-კულტურული განა-
თლების გავრცელება საწარმოებში, კოლ-
მეურნეობებში, სკოლებსა და საცხოვრე-
ბლებში. მედიცინას აქვს სამკურნალო-გა-
მაფრთხილებელი მიმართულება, გამაფ-
რთხილებელ ანუ პროფილაქტიკურ ღო-
ნისძიებათა გატარება კი შეუძლებელია სა-
ნიტარული ცოდნის გარეშე.

ჰიგიენური ღონისძიებანი ზოგი პირადი,
ზოგიც კოლექტიური ხასიათისაა. ამ უკა-

ნასკნელის შესრულება ერთ პიროვნებას
არ შეუძლია. მაგალითად, ქალაქისა და
დასახლებული პუნქტებისათვის წყლის მი-
წოდება, საკანალიზაციო ქსელის აგება, ჭა-
ობების ამოშრობა, პიღროტექნიკურ სამუ-
შაოთა შესრულება, დასახლებულ ადგილ-
თა გასუფთავება, საგზაო მშენებლობა,
სარწყავი არხების გაყვანა და სხვ. ამგვა-
რი ღონისძიებანი სახელმწიფო და საზოგა-
დოებრივ დაწესებულებათა შეთანხმებული
მუშაობით, კოლექტიური ძალებისა და სა-
შუალებების გამოყენებით ხორციელდება,
რაღაც ერთპიროვნული ძალა აქ უძლურია,
მაგრამ არის სხვა, მარტივი და ყველასათ-
ვის ხელმისაწვდომი გონივრული საშუალე-
ბანი, რომელთაც უდიდესი როლი ენიჭე-
ბათ პიროვნების გაჯანსაღებისათვის ბრძო-
ლაში და, ამდენად, მთელი საზოგადოების
გაჯანსაღებისათვის ბრძოლაში, რაღაც სა-
ზოგადოების ჯანსაღობა ერთპიროვნული

ჭანმრთელობისა და კეთილდღეობის შე-
დეგს წარმოადგენს. აი სწორედ ამ ერთპი-
როვნული ჭანსალობის საქმეს გვასწავლის
პირადი ჰიგიენა, რომელიც მოიცავს შემ-
დეგს საკითხებს: 1) მავნე ჩვევებთან
ბრძოლა ყოფა-ცხოვრებაში, 2) კანის, თეთ-
რეულის, ტანისამოსისა და ფეხსაცმლის ჰი-
გიენა, 3) ცხოვრების ზოგადი რეჟიმი, 4)
სპეციალური ანტი-ინფექციური რეჟიმი,
5) იმუნიტეტი, 6) ფიზკულტურა და 7) სქე-
სობრივი ყოფა-ქცევა.

კანი და მისი თავდაცვითი თვისება

კანი ჩვენი სხეულის თავდაცვის ორგანოა, ორგანიზმს იცავს გარემოცვის მავნე გავლენისაგან, მონაწილეობს ორგანიზმის სითბო-სიცივის მოწესრიგებაში, ინარჩუნებს ტემპერატურის ისეთ დონეს, რომელიც უფრო სასარგებლოა სხეულისათვის, წინააღმდეგობას უწევს ავადმყოფობის გამომწვევი მიკროსკოპული ორგანიზმების შეჭრას სხეულში. აღამიანი კანის საშუალებით სუნთქვავს. კანი გამომყოფი ორგანოა, მასში საოფლე და საცხიმე ჯირკვლებია მოთავსებული. კანში ჩაქსოვილია მგრძნობიარე ნერვთა დაბოლოებანი, ამრიგად, იგი შემგრძნობი ორგანოს დანიშნულებასაც ასრულებს.

კანი შესდგება ორი მთავარი შრისაგან: ერთი მათგანი არის გარეგანი შრე ანუ ეპი-

293

X

დერმისი და მეორე—შინაგანი შრე, ეპი-
დემისის ქვეშ მოთავსებული. კანს თან
ახლავს დანამატები თმები და ფრჩხილები.
კანის შინაგან შრეში, საოფლე და საცხიმე
ჭირკვლებს გარდა მოთავსებულია სისხლ-
ძარღვები. ეპიდემისი ანუ კანის გარეთა
შრე ყველაზე უფრო სქელია ხელისა და
ფეხის გულზე, ხოლო უფრო თხელია პირი-
სახეზე. კანის გარეთა შრე განუწყვეტლივ
განიცდის გარქავებას და აქერცვლას. კანის
ზედაპირიდან ანაქერცლი თხელ უსა-
ხო ფირფიტებად ცვივა, მაგრამ მაშინვე
ხდება ჩამოცვენილი ნაშილების აღდგენა
ქვემო შრიდან ამოყრილ მასალებით. ასე
გრძელდება აღამიანის მთელ სიცოცხლეში.

თვით კანი აშენებულია მკვრივი შემაერ-
თებელი ქსოვილისაგან, რომელიც ელას-
ტიურ, მოქნილ ბოჭკოებს შეიცავს, ეს ქსო-
ვილი დრეკად საფენელზე ანუ ცხი-
მოვან ქსოვილზეა დაყრდნობილი და
ამიტომაა, რომ კანი აღვილად უძლებს
ძლიერს გაზიდვას, ზედაწოლას, დაუეფილო-
ბას და სხვ. ნორმალური ეპიდერმისი ანუ

კანის რქოვანი გარსი, როცა ის მთლიანია და დაუზიანებელი, განუწყვეტლივ ფარავს მის ქვეშა საფარველს, ე. ი. თვით კანს და არ ატარებს ორგანიზმში გადამდებ სნეულებათა გამომწვევ მიკრობებს. ეპიდერმისის აქერცვლას კიდევ ის აზრი აქვს, რომ გარქავებული ფირფიტები ჩამოცვენისას თან გაიყოლიებენ კანზე დაგროვილ მავნე მიკროორგანიზმებს.

სითბო-სიცივის ცვალებადობის მოწეს-რიგებას ორგანიზმში კანი ახერხებს უამრავი. სისხლძარღვებითა და საოფლე ჭირკვლებით, რომლებიც კანშია მოთავსებული. კანის სისხლძარღვებს აქვთ საკუთარი ნერვულ-კუნთოვანი აპარატი, რომელიც განავებს სისხლის მიღების შეკუმშვა-გაფართოებას. ორგანიზმში განუწყვეტლივ მიმდინარეობს სითბოს გამომუშავება კვების პროდუქტების ხარჯზე და სითბოს ცვალებადობას კანი რომ არ აწესრიგებდეს, ორგანიზმის გაღახურვება მოხდებოდა. კანის საშუალებით ორგანიზმი კარგავს დაგროვილი სითბოს 80 პროცენტს, ზოგს გამოსხი-

ვებით, ზოგს გამტარიანობით, ზოგსაც აორ-
თქლებით. სითბო-სიცივის ცვალებადობის
მოწესრიგებას ორგანიზმში განავებენ ავ-
ტომატურად მოქმედი თბომომწესრიგე-
ბელნი, რომლებიც კანში ჩატანებულია
სითბო-სიცივისადმი მრგენობიარე ნერვულ
დაბოლოებათა სახით. სიცივის დროს კანის
სისხლძარღვები ავტომატურად შეიკუმშე-
ბიან და ამცირებენ კანისაკენ სისხლის მოქ-
ცვასა და სითბოს კარგვას. სიცხის დრო-
საც ასევე ავტომატურად ხდება სისხლმი-
ლების გაფართოება და სითბოს გაცემის
გაძლიერება. ამ ავტომატური მუშაობისათ-
ვის არის საჭირო აგრეთვე სისხლმილების
კედლებში შექსოვილი ნერვულ-კუნთოვა-
ნი ელემენტებიც.

კანში მოთავსებული საოფლე ჭირკვლე-
ბის ოფლსადინარები გაივლიან რქოვანა
გარსს და ამ უკანასკნელის ზედაპირზე გა-
მოყოფენ ოფლს. ოფლის მეშვეობით ორგა-
ნიზმიდან გამოდის მრავალი მავნე ნივთიე-
რება, რომლებიც ორგანიზმში გროვდება
ნივთიერებათა ცვლის ნიადაგზე. ასეთებია,

მაგალითად, ამონიაკი, შარდოვანა. საცხი-
მე ჭირკვლები გამოყოფენ ცხიმს, რითაც
ითვარავენ ქანსა და ომებს გასკდომისაგან და
გამოშრობისაგან, გამსკდარი და მთლიანობა-
დარღვეული კანი ვერ შეასრულებს ფარის
დანიშნულებას და ვერ დაუხშობს ორგა-
ნიზმი შესასვლელ კარებს მიკრო-ორგა-
ნიზმებს.

მიკროსკოპული ანუ უმცირესი ორგა-
ნიზმები წარმოადგენენ ადამიანის შეუიარა-
ლებელი თვალით უხილავ არსებებს. ეს
უჩინარი არსებები ზოგი მრგვალი ფორმი-
საა, ზოგი ჩხირისებური, ზოგი სასვენი ნიშ-
ნისებური და ზოგიც ბურლისებური, ბევრი
მათგანი ავალმყოფობის გამომწვევია და
ორგანიზმი შეიჭრება მაშინ, როცა კანი ან
ლორწოვანი გარსი დაზიანებულია, ე. ი. რო-
ცა მათი მთლიანობა დარღვეულია. აქვე უნ-
და დავსძინოთ, რომ კანსა და ლორწოვან
გარს აქვთ თავდაცვის უნარი არა მარტო
როგორც მექანიკურ ფარს. მათ კიდევ
სხვა თვისებაც გააჩნიათ, სახელდობრ ის,
რომ კანი გამოიმუშავებს განსაკუთრებული

თვისების ნივთიერებას, რომელიც შინაგან ორგანოებს იცავს გადამდები სწეულების გამომწვევთაგან.

ამ განსაკუთრებული თვისების მქონე ნივთიერებას ეზოფილაქსინი ეწოდება. კანში მოთავსებულია აუარებელი უჩინარი ჭუჭრუტანა, რომელთა დანიშნულებაა აწარმოოს სუნთქვა კანის საშუალებით. ჭუჭრუტანები ანუ ფორები რომ დაიხშოს (დაიხუროს), მარტო ცხვირის ღრუთი ან პირის ღრუთი ფილტვებში შესული ჰაერი საკმაო არ იქნება და ადამიანი თანდათანობით დაიღუპება. პირის ღრუთი სუნთქვის შესახებ, უნდა ითქვას, რომ ამ გზით სასუნთქვასტემაში ჰაერის გატარება ადამიანისათვის სასარგებლო არ არის. ადამიანი უნდა მიეჩვიოს ცხვირით სუნთქვას ჯერ ერთი იმიტომ, რომ ცხვირის ღრუში მას აქვს მტვრისაგან ჰაერის გასაწმენდი საშუალება და, მეორეც, ცივი ჰაერი ცხვირის ღრუში თბება და ამას მნიშვნელობა აქვს ადამიანისათვის. სიცივეში, ყინვებში პირის ღრუთი სუნთქვა ზოგჯერ მიზეზია ზე-

მო სასუნთქ გზებზე ანთებადი მოვლენებისა. მტვერი კი, როგორც ვიცით, არის ადამიანის ჯანმრთელობის უსაშინელესი მტერი.

კანს კიდევ, როგორც ზემოთ ვთქვით, შეხების გრძნობა აქვს. კანმა ეს თვისება, რომ დაკარგოს, ადამიანი ძალიან ცუდ მდგომარეობაში ჩავარდება: მაშინ ვერ შევიტყობთ ვერც სითბო - სიცივეს, ვერც სელშეხებასა და ზედაწოლას და ვერც ტკივილს.

ადამიანის თავის, კიდურებისა და ტანის კანდ მოითხოვს სისუფთავესა და გამობრძმედას.

ჭუჭყიანი კანი კარგავს ელასტიურობას; მტვერი და ნამცეცები ახშობენ ფორებს, ცხიმისა და ოფლის საღინარებს და არა თუ უძნელებენ კანს საქმიანობას, არამედ სრულიად აღამბლავებენ მას. კანის ზედაპირზე ერთი-მეორეში არეული ჭუჭყი, მტვერი და რქოვანა ანაფცევენი უჩინარ ორგანიზმებს—მიკრობებს მოუმზადებს მკვებად მასალას, ხოლო კარგი კვე-

ბისა და სითბოს პირობებში მიკრობები მრაფ-
ლდებიან, ფარავენ მთელ კანს და აღიზიანებენ
მგრძნობიარე ნერვებს. ეს გაღიზიანება გა-
მოიხატება ქავილში, რასაც მოყვება ავტო-
მატური ფხანა. ფხანის დროს კანი გაიკაწ-
რება, ნაკაწრში კი ხდება მიკრობების ჟე-
ზელვა და აქედან მათი გადასვლა სისხლსა
და მთელ ორგანიზმში.

მოუვლელ, უსუფთაო კანს საძაგელი
სუნი ასდის. ეს არის ამონიაკის, შარდოვა-
ნას, ცხიმოვანი მუავების, ფენოლისა და
სხვა მავნე გამონაყოფთა სუნი. ჭუჭყიანი
სხეული ვერ ისვენებს. ჭუჭყიანი აღამია-
ნიც გალიზიანებული, ძილგატეხილი, უგუ-
ნებო და აღშფოთებულია, მას არ უვარგა
არც შრომისა და არც სიცოცხლის უნარი.
ასეთი აღამიანი საზოგადოების ზიზლსა და
სიძულვილს იწვევს.

კანის სისუფთავის დაცვა ძნელი რო-
დია. ამისათვის საჭიროა თბილი წყალი,
საპონი და თეთრეული. ვინც სანიტარულ
ჩვევებს უგულვებელჲოდებს, მას არავითარი
მატერიალური საშუალება არ უშველის;

თუ აღამიანს სანიტარული კულტურა აკ-
ლია, სხვა ყველაფერიც რომ პქონდეს, სი-
ბინძურის წუმპედან მაინც ვერ ამოვა.
სხეულის სისუფთავის დასაცავად და კანის
საქმიანობისათვის ხელშესაწყობად საჭი-
როა:

1. ყოველდღე, დილითა და საღამოთი,
საპნით ვიზანოთ ხელპირი, კისერი და ყუ-
რები;
2. გამოვიწმინდოთ კბილები და პირის
ლრუ ჭავრისით დღეში ერთჯერ მაინც;
3. დავიბანოთ ხელები ჭამის ჭინ, სა-
პირთარეშოდან გამოსვლის შემდეგ და ყო-
ველგვარი დიდი თუ მცირე გაჭუჭყიანების
შემდეგ;
4. ყოველ დილით ხელპირის დაბანის
დროს ტანი სველი ტილოთი ჩამოვიწმინ-
დოთ;
5. დავიბანოთ ფეხები საპონწყლით ყო-
ველდღე, უკიდურეს შემთხვევაში, კვირაში
ორ-სამჯერ მაინც;
6. დავივარცხნოთ ომა ყოველდღე;

7. მთელი სხეული დავიბანოთ აბანოში
 7-8 დღის მანძილზე ერთხელ მაინც;
 8. თმა შევიკრიჭოთ საჭიროებისამებრ;
 9. ხელებსა და ფეხებზე მოვიქნათ
 ფრჩხილები.

მარტო კანის სისუფთავე ვერ მოიყვანს
 ადამიანს სანიტარულ წესრიგში, ამასთანა-
 ვე საჭიროა ტანისამოსის, ფეხსაცმლისა
 და ქვეშაგებლის (ლოგინის) სისუფთავე.

ტანისამოსი ხელოვნური გარსია, რაც
 ადამიანმა თავისთვის გამოიგონა ფრინველ-
 თა ფრთების ან ცხოველთა დათმიანების
 ნაცვლად.

ტანისამოსი ადამიანს ესაჭიროება სით-
 ბოს ცვალებადობის მოსაწესრიგებლად, მე-
 ქანიკური გალიზიანებისაგან დასაცავად და
 სიშიშვლის დასაფარავად. ადამიანის ტან-
 საცმელს შეადგენს თეთრეული, ზედა და
 ქვედა სამოსი და ფეხსაცმელები. სანიტა-
 რული თვალსაზრისით ტანისამოსი უნდა
 იყოს მცირე თბოგამტარი, საკმაოდ ჰაერ-
 შეტანებადი, უმცირესი წყალტევადი და
 უდიდესი ტენტევადი, გაჭუჭყიანების ნაკ-

ლებ უნარიანი და ოდვილად საწმენდი, ელასტიური და რბილი, მსუბუქი და გამძლე. ამასთან ყველა ამ თვისებების მქონე ტანისამოსიც რომ გეცვათ, იგი თქვენზე ვერ იქონიებს კეთილგავლენას, თუ არ მოუვლით ტანისაცმელ-ფეხსაცმელს.

ზედა და ქვემო ტანისამოსის შესახებ დავიხსომოთ შემდეგი:

1. სახლში შესვლისას პალტო უნდა დავტოვოთ წინა ოთახში, ხოლო თუ ჩვენს ბინას წინა ოთახი არა აქვს, მაშინ პალტო საცხოვრებელ ოთახში უდა ჩამოვკიდოთ, ოღონდ დანარჩენი ტანისამოსისაგან განცალკევებით;

2. მტვრიანი, ჭუჭყიანი ტანისაცმელი ჯაგრისითა და გამობერტყვით უნდა ვწმინდოთ გაშლილ ჰაერზე და არა ბინაში (ოთახში);

3. შინ მისვლისთანავე უნდა გავიხადოთ სამუშაო ტანისამოსი და გაშლილ ჰაერზე გამობერტყვის შემდეგ ჩამოვკიდოთ სხვა სამოსელისაგან განცალკევებით;

4. კარაღაში არ შევინახოთ ისეთი ტან-
საცმელი, რომელსაც უკვე აღარ ვხმარობთ;

5. ისეთი ტანსაცმელი, რომლის გარეც-
ხვა შეიძლება, უნდა გავრეცხოთ მცირე გა-
ჭუჭყიანების დროსაც.

ჭუჭყიანი საცვალი კანს აჭუჭყიანებს,
ართმევს ორგანიზმს სითბოს, სპობს ჰაერ-
შეტანებას კანსა და ტანისამოსს შორის, ის
სასიამოვნო სამყოფია მიერობებისა და პა-
რაზიტებისათვის, ჭუჭყიანი საცვლების ნა-
ოჭებში თავს იფარავენ მკბენარები. ბინძუ-
რი ადამიანი, მოწიფული იქნება ის თუ
მხცოვანი, მოზარდი თუ სკოლამდელი,
მკბენარების მსხვერპლი ხდება, მას მკბე-
ნარები კბენენ, ამწარებენ, იბრიყვებენ
ბუნების ამ უსრულყოფილეს ქმნილებას
და ზოგჯერ სამკვდრო-სასიცოცხლო სენსაც
შეყრიან.

საცვლების შესახებ უნდა გვახსოვდეს
შემდეგი:

1. საცვალი, პირსახოცი, წინდები და
ცხვირისახოცი უნდა გამოვიცვალოთ ქვი-
რაში ერთხელ ან ორხელ;

2. სალამური საცვალი ცალკე უნდა ვიქონიოთ და ჩავიცვათ მხოლოდ ძილის წინ;
3. დღისით ჩასაცმელი საცვალი ყოველ-ლამე გაშლილად უნდა გავკიდოთ განიავების მიზნით;
4. ჭუჭყიანი საცვალი ცალკე უნდა შევინახოთ;
5. ნუ შემოვიჭერთ წელზე ან წვიგზე ქამარს ან სხვა შემოსაკრავს, რადგან შემოჭირებული ქამარი, თუ შემოსაკრავი სუნთქვის შემხუთველი, მოძრაობისა და სისხლის მიმოქცევის შემფერხებელია;
6. სუფთა საცვლები უნდა შევინახოთ განჯინაში (კარადაში), დანარჩენი ნივთებისაგან გამოცალკევებით.

ჯანმრთელი ადამინი, ლოგინში, საშუალოდ, მთელი მისი სიცოცხლის ერთ მესამედს ატარებს. ლოგინში ადამიანი თბება, მოისვენებს, გამოიძინებს და შემდეგ მსუბუქი, ხალისიანი და შრომის უნარიანი ადგება. ლოგინი და მისი მორთულობა უნდა იყოს რბილი და მოხერხებული. საწოლს სიგრძე უნდა ჰქონდეს ორი მეტრი, გა-

ნი—80 სანტიმეტრი და სიმაღლე—ნახევარი მეტრა.

ლოგინის მორთულობაა—ლეიბი, საბანი და ბალიში, შალითა და ბალიშის პირი.

ლოგინის სისუფთავის დასაცავად საჭიროა:

1. ლეიბი, საბანი და ბალიში კვირაში ერთხელ უნდა გავანიავოთ გაშლილ ჰაერზე, გამოვბერტყოთ და გავწმინდოთ მტვრისაგან, მოვსპოთ შიგ პარაზიტები და მწერები. ლოგინს მწერები რომ არ მიეკაროს, ამისათვის საჭიროა ვიხმაროთ მათი მომსპობი ან გამდენი საშუალებანი: პირეტრუმი, ფლიციდი, სკიპიდარი, ნავთი და სხვ. ამავე დროს საწოლზე უნდა ჩამოვწმინდოთ მტვერი, მოვსპოთ საწოლში ჭუჭრუტანები და ნაპრალები;

2. საწოლქვეშ ყოველდღე უნდა გამოვხვეტოთ მტვერი, არ შევინახოთ იქ არავითარი ნივთი;

3. ლოგინის თეთრეული ათ დღეში ერთხელ მაინც უნდა გამოვცვალოთ;

4. ლოგინს და ბალიშს უნდა გადავაფა-

როთ შესაფერი საფარი, რათა არ დაიმტვე-
როს, ამასთან საფარს გადაფარების წინ ყო-
ვლდღე ესაჭიროება გამობერტყვა;

5. საწოლზე ჯდომა არ შეიძლება.

საცხოვრებელი ბინა არის მეორე ფარი,
რომელიც აღამიანმა გაიკეთა წვიმის, ქა-
რას, სიცივის, მეტად მცხუნვარე მზის, ნი-
აღაგის სინოტივისა და ბუნების სხვა მავნე
გვლენისაგან თავდასაცავად.

ჩვენი ქვეყნის საბინაო მშენებლობა
საჭიროა მოქალაქეებს უზრუნველყოფს
ტივადი, მშრალი, სინათლიანი და თბილი
ბოებით.

თანამედროვე საცხოვრებელი ბინები
ასხავენ სოციალისტური წყობილებისა და
ახლი ყოფაცხოვრების თავისებურებას.
უკე დიდი ხანია უკუვაგდეთ ის დრო, რო-
ც რევოლუციამდელი რუსეთის იმპერიის
მშათა უბნებში თითო ოთახში ცხოვრობ-
დ. ხუთი-ექვსი სული და თვითეულ მათგან-
ზე მოდიოდა 5-11 კუბმეტრი ჰაერი, სოფ-
ლდ კი დაბალ, ბნელ მიწურ და ნესტიან
ქოებს თავს ერთად აფარებდნენ გლეხე-

ბი და პირუტყვები. მეფისდროინდელი რუ-
სეთის მუშათა უბნებში და ღარიბ გლეხო-
ბაში თითო სულზე მოდიოდა 1,5-3,4 კვად-
რატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი,
ბინის სიმაღლე უდრიდა 2 მეტრს. ამჟამდ
ჩვენს ქვეყანაში, საბჭოური დაპროექტების
მთლიანი ნორმებით, თვითეულ სულზე და-
წესებულია 12 კვადრატული მეტრი საც-
ხოვრებელი ფართობი, ბინის სიმაღლე—3,2
მეტრი და ჰაერის მოცულობა—30-35 კუბ-
მეტრი.

რაც უნდა კარგი იყოს ბინა, თუ ცუ-
დად უვლით მას და უხეშად ეპყრობით,
შეიძლება იგი უსუფთაობის კერად იქცეს,
მაშინ ასეთ ბინაში ფეხს იკიდებს სხვადა
სხვა ავადმყოფობა, განსაკუთრებით ისთი
საშინელი სენი, როგორიცაა ტუბერკულო-
ზი (ჭლექი).

საცხოვრებელ ბინებში სანიტარული
წესრიგის დაცვისათვის საჭიროა:

1. ბინაში ტალახიანი და მტვრიანი ქა-
ნისამოსითა და ფეხსაცმლით არ შევიდთ;
2. ყოველდღე დავალაგოთ საცხოვრებე-

ლი ბინა. მოვწმინდოთ იატაკი სველი ნა-
ხერხითა და სველი ჩვრით;

3. სადგომის იატაკი კვირაში ერთხელ
მოვრეცხოთ, გავაპრიალოთ პარაფინით;

4. საოჯახო ავეჭზე სველი ჩვრით ყო-
ველდღე ჩამოვწმინდოთ მტვერი;

5. ჭერიდან, კედლებიდან, კარადებიდან
და სურათებიდან, აგრეთვე ძნელად მისაწ-
ვდომი საგნებიდან მტვერი ჩამოვხვეტოთ
თვეში ერთხელ, ჩამონახვეტი კი გავწმინ-
დოთ სველი ჩვრით;

6. არ დავუშვათ ბინაში საყრისების,
ნაგავისა და უვარგისი ნივთების დაგროვე-
ბა;

7. დილით დალაგებისას, საღამოთი ძი-
ლის წინ, დღეში ორჯერ, გაფანიავოთ ოთა-
ხის ჰაერი;

8. დასაძინებელ სადგომში არ გავაჩე-
როთ ცხოველები ან ფრინველები (ძალლი,
კატა, ქათამი);

9. არ დავაფურთხოთ იატაკზე, ვიქონი-
ოთ საფურთხებელი და ვისარგებლოთ
იმით;

10. ცხვირის გამონახოცით არ მოვსვაროთ
იატაკი, ვისარგებლოთ ცხვირსახოცით, სა-
ძინებელ ოთახში არ მოვწიოთ თამბაქო.

პირადი ჰიგიენა ითვალისწინებს აგრეთ-
ვე ზოგან საცხოვრებელ რეჟიმს, ხოლო ეს
რეჟიმი გულისხმობს ისეთი წესების გატა-
რებას, რომლებიც უზრუნველყოფს ადამი-
ანის ჯანმრთელობის დაცვას და ინფექციურ
სწრაფულებათა მიმართ მაქსიმალური გამძლე-
ობის გამოჩენას.

ზოგადი საცხოვრებელი რეჟიმი მოით-
ხოვს:

1. რაც შეიძლება მეტი ხანი დავყოთ
სუფთა ჰაერზე;
2. ღლე-ღამეში ვიძინოთ 7-8 საათს;
3. არ მოვწიოთ თამბაქო საზოგადო
შეკრების ადგილას, განსაკუთრებით საბავ-
შვო სადგომებში;
4. ვებრძოლოთ როგორც ქრონიკულ,
ასევე ხანგამოშვებითს ლოთობას;
5. მივაღწიოთ ორგანიზმის გამობრძმე-
დას ფიზკულტურით.

გადამდები სწრაფულების საჭინაალმდევო

სპეციალური რეჟიმი გულისხმობს ჩვენს ყოფაქცევას ამა თუ იმ სნეულების გაჩენის დროს, მაგალითად, კუჭნაწლავების დაავადების დროს არ უნდა ვიხმაროთ სასმელად აუდუღარი წყალი, უნდა მოვერიდოთ გადამდებ სნეულებიანთან ურთიერთობას და, ამასთან, შევამჩნევთ თუ არა ოდნავ შერყევას ჩვენს საერთო ჯანმრთელობაში, დაუყოვნებლივ უნდა მივმართოთ სამკურნალო დაწესებულებას. თუ ოჭახში, მეზობლებში ან საერთო საცხოვრებელში შევნიშნეთ სიცხიანი ავადმყოფი, ამის შესახებ უნდა ვაცნობოთ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს, უახლოეს უბნის ექიმს. ავადმყოფისაგან სნეულება შეიძლება უშუალოდ გადაედოს კარგად მყოფს, თუ მათ შორის არის შეხვედრა, კონტაქტი (უახლოესი ურთიერთობა). ავადმყოფი საშიში არის მისგან გამონაყოფით, ავადმყოფის გარემოცვა და ყველაფერი ის, რაც ავადმყოფთან არის ახლო და მის სარგებლობაშია, შეიცავს გადამდები სნეულების გამომწვევ მიზეზს და

დაასწეულებს კარგად მყოფსაც, თუ უკანასკნელი არ მოერიდა მას.

დაავადებული ადამიანი და მისი საღვო-
მი სწეულების გამავრცელებელ კერად
რომ არ გადაიქცეს, ავადმყოფი დაუყოვნებ-
ლივ უნდა გადავიყვანოთ სამკურნალო და-
წესებულებაში, ავადმყოფის ბინაში კი გა-
ტარდეს ისეთი ღონისძიება, რომელიც გაა-
უსწებოვნებს მის ბინასა და გარემოცვას.
ასეთ ღონისძიებას, ე. ი. ავადმყოფობის
გამომწვევი მიზეზის მოსპობას, დეზინფექ-
ცია ეწოდება, ხოლო თვით დეზინფექცია,
ვიწრო გაგებით, მიკრობების მოსპობას ნიშ-
ნავს. დეზინფექციას ატარებს ექიმი და მი-
სი თანაშემწე. ტანისამოსი, ლოგინი, თეთ-
რეული, საოჯახო ნივთები, ყველაფერი ის,
რაც ავადმყოფის ახლო იყო, უნდა გაუსწე-
ბოვნდეს, ესე იგი ყველაფერს უნდა გაუ-
კეთდეს დეზინფექცია.

იმუნიტეტი

გადამდები სნეულების გავრცელება
ავადმყოფიდან კარგად მყოფზე ცნობილია
უხსოვარი დროიდან, ამასთან დაკავშირე-
ბით აღამიანმა ისიც შეამჩნია, რომ ერთხელ
გადატანილი სნეულება მეორედ აღარ ემა-
რთება ამ სნეულებაგადატანილს. ასე, მა-
გალითად, ყვავილი, პარტახტიანი ტიფი, წი-
თელა, ქუნთრუშა და სხვა სნეულებანი
თუ ერთხელ გადაიტანა აღამიანმა, შემდეგ
ის ამ სნეულებებით აღარ ავადდება, თუნ-
დაც ხშირი ურთიერთობა და ახლო კავშირი
ჰქონდეს დაავადებულთან. მაგრამ ეს არ
ითქმის ყველა გადამდები სნეულების შე-
სახებ. მაგალითად, ერთხელ გადატანილი
წითელი ქარი, სახსრების რევმატიზმი, ან-
გინა და ფილტვის კრუპოზული ანთება შე-

იძლება რამდენიმეჯერ დაემართოს აღა-
მიანს.

შემჩნეულია ისიც, რომ ერთ ოჯახში ან
კოლექტივში თუ რაიმე გადამდები სნეუ-
ლება გაჩნდა, ოჯახის (კოლექტივის) ყველა
წევრი არ ხდება ავად, მიუხედავად იმისა,
რომ დანარჩენ წევრებთან ერთსა და იმავე
პირობებში იმყოფება. ზოგი დასნეულდე-
ბა, ზოგი კი არა, ე. ი. ერთსა და იმავე სენს
ზოგის ორგანიზმი ღებულობს, ზოგისა—არა.
ორგანიზმის ისეთ მდგომარეობას, როცა ის
გადამდები სნეულებით არ ხდება ავად, ჰი-
უხედავად იმისა, რომ ას სნეულების გა
მომწვევი მიზეზი უკვე შეიჭრა მის ორგა-
ნიზმში,—შეუვალობა ანუ იმუნიტეტი ეწო-
დება. ასეთია ზოგიერთი აღამიანის თვისე-
ბა. ის ავად არ ხდება არა თუ გადამდები
სნეულებით შეპყრობილთან ურთიერთობით
(კონტაქტით), არამედ მის ორგანიზმში სე-
ნის გამომწვევის ხელოვნურად შეუვანის
დროსაც კი. მაგრამ ასეთი ორგანიზმი ყვე-
ლა გადამდებ სნეულებათაგან როდია უზ-
რუნველყოფილი, მას აქვს იმუნიტეტი

მხოლოდ რომელიმე სნეულებისაღმი. ამი-
ტომ ლაპარაკობენ იმუნიტეტის სპეციფიუ-
რობაზე; მაგალითად, ადამიანს იმუნიტეტი
აქვს ყვავილის წინააღმდეგ და არა მუცლის
ტიფის წინააღმდეგ. არის ისეთი ორგანიზ-
მიც, რომელიც იჩენს ზოგან წინააღმდეგო-
ბას მთელი რიგი სნეულებისაღმი. ორგანიზ-
მის ასეთ მდგომარეობას არა სპეციფიურ
იმუნიტეტს მიაწერენ. ზოგიერთ გარემო-
ებას შეუძლია შეცვალოს ადამიანის იმუ-
ნიტეტი და შეუვალობიდან გადაიყვანოს
მიღრეკილებისაკენ, ე. ი. თუ განსაკუთრე-
ბული თვისებების გამო აღამიანი ამა თუ
იმ სნეულებით ავად არ ხდება, შეიძლება
შემდეგში იგი ისევე დაავადდეს, როგორც
სხვა, ამ თვისებათა არმქონე ადამიანი. გა-
რემოება, რასაც იმუნიტეტის მოსპობა შე-
უძლია, მრავალგვარია. პირველ რიგში უნდა
მოვიხსენიოთ ლოთობა, სქესობრივი თავ-
დაუჭერლობა, შრომის რეჟიმის მოუწესრი-
გებლობა, გადამეტცივება, ნივთიერება-
თა ცვლის მოშლა და სხვ.

ისეთი შეუვალობა, რასაც ორგანიზმი

მოიპოვებს რომელიმე ავადმყოფობის გადა-
ტანის შემდეგ, არის შეძენილი იმუნიტეტი.
შეძენილ იმუნიტეტში არჩევენ ორ სახეს:
ბუნებრივსა და ხელოვნურს. ბუნებრივია
ის შეუვალობა, რომელიც ორგანიზმა გა-
დამდები სენის გადატანის დროს შეიძინა.
შეძენილი ხელოვნური შეუვალობა ორგა-
ნიზმს შეუძლია მოიპოვოს აცრის საშუალე-
ბით. აცრა არავითარ საშიშროებას არ წარ-
მოადგენს, ორგანიზმს კი აძლევს გადამდებ
სნეულებათაგან თავდაცვის იარაღს. ვინ არ
იცის, რომ ჩვენში ყვავილი ახლა აღარავის
არ აშინებს. საბჭოთა კავშირში ეს ავადმ-
ყოფობა მოისპო. ეს მოხდა იმის შედეგად,
რომ ყვავილის აცრა სავალდებულო გახდა.
ყვავილი საშინელი სენია. რევოლუციამდელ
რუსეთში იგი მუსრს ავლებდა მოსახლეო-
ბას, ვინმე თუ გადაიტანდა მას, ხშირად
დაბრმავებული, ყრუ-მუნჯი და სახე დანა-
წიბურებული რჩებოდა.

როგორც შეძენილი ბუნებრივი, ისე შე-
ძენილი ხელოვნური იმუნიტეტის დროს
ორგანიზმში ჩნდება ისეთი ნივთიერებანი,

რომლებიც იცავენ მას. შეძენილი იმუნიტეტი, ბუნებრივიც და ხელოვნურიც, აქტიურია, რაღაც იგი მოპოვებულია ავადმყოფობის გადატანით ან წარმოებული აცრებით.

დამცველი ნივთიერება, რომელიც ორგანიზმს ხელმეორედ ავად გახდომისაგან იფარავს, შეიძლება გამომუშავდეს ცხოველის სისხლის შრატში და იქიდან მზამზარეულად შევიყვანოთ ადამიანის ორგანიზმში. ამრიგად ორგანიზმი მიიღებს მფარავ ნივთიერებას მზად, ყოველგვარი შრომის გარეშე. ასეთი მზამზარეული მფარავი ნივთიერებით მოპოვებულ იმუნიტეტს შეძენილი პასიური იმუნიტეტი ეწოდება. პასიურსა და აქტიურ იმუნიტეტს შორის ის განსხვავებაა, რომ აქტიური იმუნიტეტი ორგანიზმს ავად გახდომისაგან იფარავს დიდხანს, რამდენიმე წლის, ზოგჯერ მთელი სიცოცხლის განმავლობაში. აქტიური ხელოვნური იმუნიტეტი ორგანიზმა უნდა მოიპოვოს მისი კარგად ყოფნის ღროს, ოღონდ ასეთი იმუნიტეტის მოსაპოვებლად, ჩვეულებრივ, საჭიროა ორი-სამი კვირა.

შეძენილი პასიური იმუნიტეტი ორგანიზმში
იწყება მფარავ ნივთიერებათა შეყვანისთა-
ნავე, მაგრამ ამნაირად მიღებული იმუნი-
ტეტის ხანგრძლივობა მცირეა. შეძენილ
პასიურ შეუვალობას მაშინ მოუპოვებთ
ორგანიზმს, როცა საჭიროა სისწრაფე, ესე
იგი შეძენილი აქტიური იმუნიტეტის მოპო-
ვებისათვის დრო აღარ არის.

დადგენილია, რომ იქ, სადაც მოსახლე-
ობა იმუნიზებულია, ე. ი. სადაც ფართოდ
ატარებენ აცრებს, გადამდები სნეულება-
ნი არ ვრცელდება. საბჭოთა ჯანმრთელო-
ბის დაცვის ორგანოები სწორედ იმაზე
ზრუნავენ, რომ აცრებით, მოსახლეობის გამ-
ძლეობის განმტკიცებით მოსპონ გადამდები
სნეულებანი. აცრების ჩატარების საწინააღმ-
დეგოდ თითქმის არავითარი უკუჩვენება არ
არსებობს, აცრა არავითარ მავნე გავლენას
არ ახდენს ორგანიზმზე. თუ ორგანიზმის რო-
მელიმე მდგომარეობა გვიკრძალავს აცრე-
ბის ჩატარებას, ამას გამოარცევენ ჯანმრ-
თელობის დაცვის ორგანოები, რომლებიც

დაინტერესებული არიან აცრების სარგებ-
ლიანობით.

აცრების ჩატარება და, მაშასადამე, იმუ-
ნიტეტის მოპოვება დაგვიფარავს ისეთ სნე-
ულებათაგან, როგორიცაა ყვავილი, მუც-
ლის ტიფი, დეზინტერია, ხოლერა, შავი ჭი-
რი, დიფტერია, ბრუცელოზი, ცოფი, წითე-
ლა, პარტახტიანი ტიფი, ციმბირის წყლუ-
ლი და სხვ. აცრების შემდეგ ადამიანს შე-
იძლება არ შეეყაროს გადამდები სენი, მაგ-
რამ თუ იგი მაინც დასნეულდა, ანაცარი
ადვილად გადაიტანს სენს. აუცრელისათვის
კი საშიშია და ზოგჯერ სიკვდილსაც იწვევს.

აცრებს დიდი მნიშვნელობა აქვს პირა-
დი გაჯანსაღების საქმეში. საბჭოთა მოქა-
ლაქეს, მშობელს, პედაგოგს, ექიმს კარგად
ესმით და სჯერავთ აცრების დამცველი
მნიშვნელობა. ეს რწმენა დამყარებულია
არა ნდობაზე და, ასე ვსოდვათ, პატიოსან
სიტყვაზე, არამედ ურყავვ ფაქტებზე.

კანმრთელობისათვის მაჟნე ჩეულებანი

ჯანმრთელობის მავნებლებად, სხვა ფაქტორთა შორის, განსაკუთრებით მაგარი სასმელების ხმარება და თამბაქოს წევა ჩაითვლება.

მაგარი ანუ ალკოჰოლიანი სასმელია: არაყი, ღვინო, ქონიაყი, ლუდი და სხვ. მაგარ სასმელებში მოქმედი ნივთიერება სპირტი ანუ ალკოჰოლია. სპირტს მიიღებენ ისეთი პროდუქტებიდან, რომლებიც შეიცავენ სახამებელსა და შაქარს (ყურძენი, თაფლი, კარტოფილი, ხორბლეული, ხილეული და სხვ.).

ალკოჰოლიანი სასმელი უდიდესი მატყუარაა, სასიამოვნო გამაბრუებელ გავლენას ახდენს ადამიანზე. ადამიანს ჰგონია, მას

მაგარმა სასმელმა ძალოონე შემატა, შეათბო და ასაზრდოვა, მაგრამ სინამდვილეში ეს არ არის მართალი, ალკოჰოლი ასუსტებს ორგანიზმს. ყველამ იცის, რომ სიმთვრალეში კაცი აღვილად ცივდება. ალკოჰოლი არც მკვებავი საშუალებაა. რა სახითაც არ უნდა შედიოდეს ორგანიზმში ალკოჰოლი, ის ყოველთვის მოქმედებს, როგორც მომწამლავი ნივთიერება. ვის არ უნახავს მთვრალი კაცი და ვინ არ იცის, რომ ამ ღროს ალკოჰოლის გავლენით ადამიანის ჭიუა-გონება დასუსტებულია, მისი ყურადღება დაქვეითებულია.

ლოთი კაცი უხასიათოა, აღვილად ღიზიანდება, არაფრად აგდებს ნაკისრ ვალდებულებას, ანგარიშს არ უწევს სხვის ინტერესებს, გადაჭარბებული წარმოდგენა აქვს თავისთავზე, უდისციპლინოა, დასუსტებული აქვს გონება და ნებისყოფა, მისი ორგანიზმი ნაკლებ გამძლეობას იჩენს, ხოლო შვილები შეეძინება სუსტი, უსუსური, გონებრივად და ფიზიკურად მახინჯი.

სიმთვრალეში ადამიანი ისეთ რამეებს

სჩაღის, რომ სიფხიზლეში ნანობს. მკვლელობა, მარცხი, ხანძარი, ხულიგნობა, მრუშობა, ათაშანგით დაავადება, უპასუხისმგებლობა, გაფლანგვა, ბიჭიერი სიტყვა, ქურდობა—ყველა ეს მაგარ სასმელიანი ჭიქილან იწყება. თუ ასოთამწყობი კვირას ალკოჰოლიან სასმელს დალევს, ორშაბათს ცუდად მუშაობს, უშვებს უხეშ შეცდომებს და შრომის ნაყიფიერებაც ნაკლები აქვს; ნამთვრალევი შოთერი მეორე დღეს ვერ ეუფლება საჭეს, ვერ ართმევს თავს მის სამუშაო აპარატს და ხშირად მარცხსაც იწვევს; სტუდენტი და, საერთოდ, გონიერივი დარგის მუშაკი, ალკოჰოლიანი სასმელის გავლენის ქვეშ მყოფი, ვერ ითვისებს, ვერ იმახსოვრებს და დამახსოვრებულს ივიწყებს. ასეთი ფაქტებით დასტურდება, რომ ალკოჰოლი დიდ ხანს არ ტოვებს ორგანიზმს, ეს უკანასკნელიც დიდ ხანს განიცდის ალკოჰოლის მავნე გავლენას.

მაგარი სასმელების როგორც ხანგამოშვებით, ისე მუდმივი მიღება ცნობილია ალკოჰოლიზმის სახელწოდებით. ვისაც ჩვეუ-

ლებად გადაქცევია დილით თუნდაც თითო
ჭიქა არაყის დალევა თითქოს გასამაგრებ-
ლად ან მაღის აღსაძვრელად, ბოლოს იგი
ალკოჰოლის მოყვარული ხდება, ასეთი
„დოზით“ არ კმაყოფილდება და აღწევს ქრო-
ნიკულ ლოთობამდე. ლოთი აღამიანის ორ-
განიზმი ხდება სასიცოცხლო ორგანოების
გადავარება, დაავადმყოფება, მისი გული,
ლვიძლი, ტვინი, სისხლმილები ისეთივენი არ
არიან, როგორც ალკოჰოლის მიჩვევამდე
იყვნენ, ფუნქციონალურად თანდათან უვა-
რგისი ხდება და, ბოლოს, სავსებით შესწ-
ყვეტენ მუშაობას.

მშრომელი ხალხის ტვინი და კუნთები
ქვეყნის კულტურული და ეკონომიკური სა-
ფუძვლის შემოქმედია. ჯანმრთელი ადამია-
ნი საღი ტვინის მატარებელია და ის, რაც
ტვინს წამლავს, ძირს უთხრის ხალხის კულ-
ტურასა და სიმდიდრეს, დამღუპველად მოქ-
მედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე, მის ყო-
ფაცხოვრებასა და შთამომავლობაზე.

ალკოჰოლიან სასმელს განსაკუთრებით
მოზარდი და ჭაბუკი უნდა მოვარიდოთ.

ავაღმყოფთაგან ბევრი აცხადებს, რომ მაგარი სასმელის სმა მათ დაუწყიათ 10-12 წლის ასაკში. მოზარდი თაობა ალკოჰოლიანი სასმელის სმას დიდებისაგან სწავლობს. ამდენად, მოზარდი თაობის „გაწაფვა“ მაგარი სასმელების სმაში ნიშნავს მისი მორალური და გონიერებრივი დონის დაცემას.

თამბაქოს მოწევა თავისი მავნებლობით ნაკლები არ არის ალკოჰოლზე. თამბაქოში მთავარი მოქმედია ნიკოტინი. თავისთავად ნიკოტინი წარმოადგენს მქროლავ სითხეს. თამბაქო შეიცავს 0,7-8 პროცენტ ნიკოტინს. რამდენადაც მდარე ხარისხისაა თამბაქო, იმდენად მეტია მასში ნიკოტინი და, მაშასადამე, უფრო მავნებელია აღამიანისათვის.

თქვენ ვერ დაასახელებთ თქვენს ნაცნობთაგან ისეთ ადამიანს, რომელსაც თამბაქო პირველად სიამოვნებით მოეწიოს. პირველი გაბოლება ყველას უსიამოვნო გრძნობით გადაუტანის. თვითეულ მათგანს შეუძლია მოიგონოს თავბრუდახვევა, გულისფრიალი, სისუსტე, გულისრევა, ცოტა

შეოფლიანებაც და მოუსვენრობაც, რაც
მან გამოსცადა თამბაქოს პირველი
მოწევის დროს. ასეთი პროტესტით უპასუ-
ხა ორგანიზმა ნიკოტინის შეჭრას მასში,
რაღაც მან, ორგანიზმა იუცხოვა თამბა-
ქო და თავისი აღშფოთება გამოთქვა. ადა-
მიანმა ყურადღება უნდა მიაქციოს ამ
პროტესტს, მაშინვე მიატოვოს მოწევა.
თორემ არაფრად თუ არ ჩააგდო მრავალ-
ჯერ მოცემული სასიგნალო ნიშნები, შემ-
დეგ ორგანიზმი უნებლიერ მიეჩვევა თამ-
ბაქოს წევას.

ნიკოტინს გარდა თამბაქოს კვამლში
არის ნახშირუანგი, ნახშირორუანგი და სხვა
მავნებელი ნივთიერებანი. თამბაქოს კვამ-
ლი აღიზიანებს სასუნთქ ორგანოებს, იწ-
ვევს ხველას, ნახველის ამოღებას. თამბა-
ქოს კვამლში გახვეული ნიკოტინი ნერწყ-
ვის ჩაყლაპვისას ხშირად აღიზიანებს კუჭს,
იწვევს უმაღობას, გულის რევას და კუჭის

მოქმედების მოშლას, კუჭის წვენის სიმუა-
ვიანობის მატებას, კუჭნაწლავების კატარს.
თამბაქოს მოწევა ახშირებს გულისცემას
და ხელს უწყობს გულის კუნთის ნააღრევ
გაცვეთას, ქოშინს, სისხლის წნევის მომა-
ტებას, მაჯისცემის მოშლილობას, ტკივი-
ლებს გულის არეში და გულის სისხლმი-
ლების სკლეროზს.

თამბაქო, უპირატესად, ნერვული სის-
ტემის შხამია. უძილობა, გულფიცხობა,
ზოგჯერ სუსტად, ზოგჯერ მკვეთრად გამო-
ხატული, ნიკოტინისა. და ნერვული სისტე-
მის შეუთავსებლობის ნიშნებს წარმოად-
გენს.

ფიზიკური კულტურა

ფიზიკულტურის გამაჯანსაღებელი როლი ყოფაცხოვრებაში, საწარმოებსა და სკოლებში საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია. ფიზიკური განვითარება განუყრელი ნაწილია კომუნისტური აღზრდისა. ფიზიკური კულტურა, საბჭოური გაგებით, ეწოდება ადამიანის სხეულის სისტემატურსა და ყოველმხრივ განვითარებას შრომისა და თავდაცვის ინტერესებისათვის.

კარლ მარქსმა განათლებას საფუძვლად დაუდო სამი ელემენტი; „მომავალში შრომამ და მეცნიერებამ,—გვასწავლის კ. მარქსი,—აღზრდაში თანაბარი ადგილი უნდა დაიკავონ, ფიზიკური აღზრდა და ტანვარჯიში, ხელით მუშაობა და გონებრივი შრომა უნდა გათანაბრდეს, მათ ერთ-მანეთი უნდა შეავსონ, რაღგან ეს ერთად-

ერთი შეთოდია ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის აღსაზრდელად, აგრეთვე ერთადერთი ნამდვილი საშუალებაა საზოგადოებრივი წარმოების პროდუქტიულობის ასამაღლებლად“.

ეს „მომავალი“ აღზრდის ხერხი და მეთოდი, რომლის შესახებ, კ. მარქსი მიგვითითებდა, ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ სინამდვილედ აქცია. სოციალიზმის პირველ ქვეყანაში — ჩვენს დიად სახელმწიფოში ჯეროვანი ყურადღება დაეთმო ფიზიკური განვითარების საკითხს. საწარმოებში, სკოლებში, საბჭოთა არმიაში, თვითმოქმედების წრეებში ეს საქმე მოთხოვნილ სიმაღლეზე დგას. ფიზიკურ განვითარებას რომ მიაღწიო, ტანვარ-ჭიშთან ერთად საჭიროა ბუნებრივი ძალების მაქსიმალური, გონივრული გამოყენება და ჰიგიენური ჩვევების შესისხლხორცება. ფიზკულტურელი სტანდოველია წარმოებაში, გმირია ფრონტზე, ფრიადოსანია სწავლაში და მაღალი სანიტარული კულტურის მაჩვენებელია ყოფაცხოვრება-

ში, მინიმუმი ძალის დახარჯვით მაქსიმალურ შედეგებს აღწევს, სწორ რეზიმს იცავს შრომისას და დასვენებისას.

ფიზკულტურული აღზრდის ფორმა და საშუალებებია: 1. პირადი ჰიგიენა, 2. გამობრძმედა და 3. გიმნასტური ვარჯიში.

წარმოებაში ფიზკულტურელი ამტანია, ადვილად არ იღლება; მას უვითარდება სხვა და სხვა კუნთოვანი ჯგუფები და უმაგრდება ნერვული სისტემა. ფიზკულტურა აუმჯობესებს სუნთქვას, სისხლის მიმოქცევას და ნივთიერებათა ცვლას, შეუქმნის ადამიანს მხნეობას განწყობილებაში. ფიზკულტურელი წარმოსალეგი, დისციპლინის შეგნებულად დამცველი და ორგანიზებულად მოქმედია, ადვილად ეუფლება წარმოების პროცესში საჭირო ახალ მოძრაობას მარტივიდან დაწყებული ურთულესამდე.

საბჭოთა არმიაში ფიზკულტურა ჯარისკაცისა და ოფიცერს ფიზიკურად ავითარებს, გამობრძმედს მათ, კიდევ უფრო განუმტკიცებს ნებისყოფას. სიცემიტე, გამბედაობა და ამტანობა ფიზკულტურის ზეგავლენით

საბჭოთა ჯარისკაცის მიერ სამუდამოდ შე-
ძენილი თვისებებია.

სკოლაში ფიზიულტურა ხელს უწყობს
მოზარდი ორგანიზმის ყოველმხრივ განვი-
თარებას და გაფორმებას, მისი ჯანმრთელო-
ბის გამობრძმედას; ფიზიულტურელი მო-
წაფე მიისწრაფის ცოდნის შეძენისაკენ, შე-
გნებულად იცავს დისციპლინას, იბრძვის
მეცნიერებათა საფუძვლების დაუფლებისა-
თვის, ხარისხიანი ცოდნისათვის. ფიზიულ-
ტურა მოწაფეებს აღუძრავს სურვილს
თვითმოქმედებისათვის, განუმტკიცებს მათ
პირად და საზოგადო პიგიენურ ჩვევებს.
აქტივობა, გამბედავობა, სიმტკიცე, ურყე-
ვობა, სწრაფი ორიენტაცია, ორგანიზებუ-
ლობა, კოლექტიურობა და, საზოგადოდ,
კომუნისტური საზოგადოების მშენებლისა-
თვის დამახსიათებელი თვისებები ფიზიულ-
ტურელს ყველგან თანდაყვება, სადაც არ
უნდა იყოს იგი.

გამობრძმედა ფიზიულტურელს აძლევს
უდიდესი მედგრობის გამოჩენის შესაძლებ-
ლობას. გარემოკვეთის არახელსაყრელ პირო-

ბებშიაც კი გამობრძმედილი ადვილად
იტანს ჩრდილოეთის სუსხესაც და ცხელი
ქვეყნების ხორშაკსაც. ადამიანის ორგანიზ-
მის გამობრძმედისათვის მთავარია კლიმატი-
სა და ამინდის მკვეთრი ცვალებადობისადმი
თანდათანი შეჩვევა. გამობრძმედა უნდა
ვაწარმოოთ სისტემატურად, წლიდან წლამ-
დე, სხვა და სხვა ზეგავლენის განცდით. თუ
გამობრძმედის დროს ბუნებრივი ძალები
არასწორად გამოვიყენეთ, მაშინ სარგებ-
ლობის მაგივრად ზიანს მივუტანთ ორგა-
ნიზმს. ამიტომ ფიზკულტურა ეყრდნობა
ფიზკულტურელის ანატომიურსა და ფიზიო-
ლოგიურ თავისებურებას, ჰიგიენურ ნორ-
მებსა და პედაგოგიურ გამოცდილებას.
ფიზკულტურულ საშუალებათა ამორჩევა
და დატვირთვის განსაზღვრა ხდება ამ საქ-
მეში საეჭიმო კონტროლის ჩარევით, ფიზ-
კულტურის სასარგებლო გავლენა ორგანიზ-
მზე გამოსცადეს ავადმყოფებმაც და ამჟა-
მად ჩვენს სამკურნალო დაწესებულებებში
თითქმის ყოველგან შემოლებულია სამკურ-
ნალო ფიზკულტურული კაბინეტი. ავადმ-

ყოფებს არჩენენ არა მარტო წამლებით, არამედ ფიზკულტურითაც. უამრავი ფაქტით დამტკიცებულია, რომ სამკურნალო ფიზკულტურის გამოყენებით ავაღმყოფები ადრე ჯანსაღდებიან და უბრუნდებიან სამუშაოს.

გამობრძმედის საშუალებებია: ჰაერი, მზე და წყალი.

ჰაერით გამობრძმედა უნდა დავიწყოთ ობილ ამინდში და თანდათანობით გავაძლიეროთ გამალიზიანებელი, ე. ი. განვიცადოთ უფრო და უფრო ცივი ჰაერის გავლენა. ორგანზმი სიცივესაც და სიცხესაც უნდა შევაჭიბროთ და ამით მივცეთ მას გამობრძმედის შესაძლებლობა. ზაფხულში მზიან ამინდში, თუნდაც ცოტა ხნით, სხეული უტანსაცმლოდ უნდა ვამყოფოთ და ჰაერით გავწროვნათ ჩრდილში, ხოლო ღრუბლიან ამინდში მშრალ, მოძრავ ჰაერზე და და მშრალ ქარზე. უნდა შევეჩვიოთ ძილს ლია ფანჯრებიან ოთახში. საკლასო თუ დასაძინებელ ოთახებში ტემპერატურა უნდა დავაჭვეითოთ ჰაერის განიავებით.

დილით კარგია გამამხნევებელი ვარჯიში. ში, ოღონდ ვარჯიშის დროს ფეხშიშველი და წელს ზემოთ ტიტველი უნდა ვიყოთ. ზამთარში კარგია მეცალინეობა და მოძრაობა ჰაერზე, ტანის დაბანა წელს ზემოთ ან შხაპი დილით, საღამოთი და მუშაობის შემდეგ.

წყლით გამობრძმედისას სქეული უნდა ვბანოთ წელს ზემოთ ან დავდგეთ შხაპის ქვეშ ფიზიკური ვარჯიშის შემდეგ, სანამ კანზე აორთქლება შეწყდებოდეს. წყალში საბანაოდ უნდა შევიდეთ მას შემდეგ, როცა გულის აღგზნებულობა დაწყნარდება და მაჯისცემა გაიშვიათდება. ტანის ბანა უნდა დავიწყოთ 14-16 გრადუსი ტემპერატურის მქონე წყალში. ბანაობა და შხაპის მიღება შეიძლება მხოლოდ ჭამიდან 40 წუთის გასვლის შემდეგ. შხაპის ქვეშ ან წყალში არ უნდა დავრჩეთ გადამეტცივებამდე (კანკალი, ტუჩების ჩალურჯება).

მზით გამობრძმედა უნდა დავიწყოთ გაზაფხულზე, მზეზე, შიშვლად, მაგრამ თავდახურულად, ჯერ უნდა დავაყოვნოთ 10-12

წუთი, ხოლო შემდეგ ვუმატოთ ხუთ-ხუთი
წუთი, სანამ მივაღწევდეთ ერთ ან ერთნა-
ხევარ საჲთს. მზეზე ძილი არ შეიძლება.
სხეულის მდებარეობა მზეზე დროგამოშვე-
ბით უნდა შევიცვალოთ, რათა თავიდან
ცვიცილოთ დამწვრობა. მზის აბაზანების
მიღება მშიერზე ან მეტად მაძლრობის
დროს არ შეიძლება. მზის აბაზანების შემ-
დეგ უნდა ვისარგებლოთ შხაპით ან წყალ-
ში ჩაყურყუმალავებით. უნდა გვახსოვდეს,
რომ შუადღისას მოქმედებენ მზის თერმი-
ული სხივები. ამიტომ მზის აბაზანებისათვის
ჩვენ უნდა ამოვირჩიოთ დრო დილის 10-11
საათიდან და ნაშუადღევის 4-5 საათი. ამ
დროს მოქმედებენ ულტრა-იისფერი სხივები,
რომლებიც სასარგებლოა წრთვნისათვის.
თუ მზეზე ყოფნამ უძილობა, უმაღლება, სი-
სუსტე, თავის ტკივილი მოგვაროთ, დაუ-
ყოვნებლივ უნდა შეწყვიტოთ აბაზანების
მიღება. მზის აბაზანების მიღება უკეთესია
დაიწყოთ ეჭიმის ჩჩევის შემდეგ.

სქესობრივი კოდა-ქცეულის ზოგიერთი საკითხი

განსაზღვრულ ასაჭმი სქესობრივი ლტო-
ლვილება (მიღრეკილება) ნორმალური, ჯან-
საღი ადამიანის ბუნებრივ თვისებას წარ-
მოადგენს. სქესობრივი გულისთქმის დანი-
შნულება ადამიანის მოღვარის გაგრძელება,
თავისივე მსგავსი არსების წარმოშობაა.

ნააღრევი სქესობრივი ოქტი უდიერ ძა-
ლადობას ახდენს ორგანიზმზე, ამ უკანასკ-
ნელის ზრდისა და განვითარების ენერგიას
ვნებათა ღელვაზე ხარჯვას და ორგანიზმს აძა-
ბუნებს. ჩვენი კანონმდებლობის მიერ ხა-
ქორწინო ასაკად დაღვენილია 18 წელი
ვაჟთათვის და 16 წელი ქალთათვის, ე. ი.
ქალ-ვაჟი რომ დაქორწილდნენ, ვაჟი არ
უნდა იყოს 18-ზე ნაკლები, ქალი კი—16-ზე

ნაკლები წლის ასაკისა. ამ ასაკში ორივე
სქესის წარმომადგენელი, ზოგადად, სქე-
ოსბრივ სიმწიფეს უკვე მიღწეულია და
მზად არის შეასრულოს დედისა და მამის
ფუნქცია.

დიდების უტაქტობას, უწმაწური სიტყ-
ვების გაგონებას, სიზარმაცეს, სქესობრივ
საკითხზე უსირცხვილო ცინიკურ ლაყბობას
და ალკოჰოლს შეუძლია წააქეზოს მოუმ-
წიფებელი ორგანიზმი სქესობრივი ქმედო-
ბისაკენ. ნააღრევი „სიყვარული“ უთუოდ
ყოველმხრივ უარყოფითი, საშიში და სამ-
წუხარო მოვლენაა. მოხარდი ორგანიზმი-
სათვის საჭიროა ფიზიკური და ფსიქიური
ძალების დაგროვება, ნააღრევი სქესობრივი
მიღრეკილება კი ანიავებს ამ ძალებს. ასეთ
შემთხვევას, ე. ი. ფსიქო-ფიზიკური ძალე-
ბის დაუზოგველობას, მოყვება გადაკვარე-
ბა და დაკნინება.

ჭაბუკობაში და შემდეგაც სქესობრივი

ენერგია შესაძლოა გადართულ იქნას აღა-
მიანის ორგანიზმის სხვა სახის მოქმედებად.
ენერგიის ამგვარი გადატანა ჭანმრთელობი-
სათვის საზიანო არ არის. ვინ არ იცის, რომ
ბეჭითი შრომის ან ბრძოლის დროს სქესობ-
რივ თავაშვებულებას ამშვიდებს ფიზ-
კულტურა, ფიზიკური დალლილობა, ფიზი-
კური და გონებრივი ძალონის გამოვლინე-
ბა და შემოქმედებითი სიხარული. ახალგაზ-
რდობის მჩქეფარე ძალას თვითშეგნებამ და
თვით აღზრდამ უნდა უპასუხოს თავდაჭე-
რილობის გაძლიერებით. თავდაჭერა სქე-
სობრივ საკითხში, საერთოდ, მავნებელი
როდია. თავდაჭერილი აღამიანი შემოინა-
ხავს ძალონებს, რაც მას ესაჭიროება გო-
ნებრივი მუშაობისათვის, ჭანმრთელობის
გამაგრებისათვის, ნაყოფიერი შრომისათვის.

სქესობრივად თავაშვებული მამაკაცი
შრომის უნარმოკლებულია, საწარმოში გამ-
ცდენია, ყოფა-ცხოვრებაში კი — ხულიგანი.

ასეთ მარაკაცს ჭალზე აქვს ყალბი, უნამუსო წარმოდგენა: მას ჭალი მიაჩნია სქესობრივი აქტისათვის გამოსაღებად და არა სრულფფლებიან ამხანაგად საწარმოსა და ცხოვრებაში. უწესრიგო, შემთხვევითი სქესობრივი კავშირი ბოლოს ვენერული ღავაღებით თავდება.

სახალხო მეურნეობისა და კულტურის განუხრელი აღმავლობის, სანიტარული ცოდნის დანერგვისა და განათლების შეღებად ჩვენს ქვეყანაში მინიმუმამდეა დაყვანილი როგორც ნააღრევი სქესობრივი მიღრეკილების, ასევე სქესობრივი თავაშვებულების შემთხვევები, მაგრამ ჩვენი ვალია—ასეთი შემთხვევები სავსებით, ძირფესვიანად აღვგვეთოთ.

* * *

წინამდებარე წიგნში ჩვენ შევეხეთ პი-
რადი ჰეგიენის ისეთ უმარტივეს წესებს,
რომელთა შესრულება ყველასათვის აღვი-
ლად ხელმისაწვდომია და არ მოითხოვს
არავითარ ხარჯებს, აღამიანთა ჭანმრთელო-
ბის განმტკიცებისათვის კი ფრიად მნიშვნე-
ლოვანია.

ამ წესების შესასრულებლად საჭიროა
მხოლოდ სანიტარული კულტურა, რაც
ყველა საბჭოთა მოქალაქეს—ყმაწვილსაც
და ჭარმაგსაც—საკმაოდ გააჩნია.

Ց Ա Տ Ա Խ Տ Ո

	83-
ՐԱՆ ՑՎԱԾՓԱՎԼՈՒ ՔԱՐԱՃՈ ՖՈՂՈՂԵՆԱ	5
ԿԱՆՈ ԸՆ ԾԱՎԴԱՎՈՂՈՒԹՈ ԾՎՈՍԵԲԱ	17
ՈՄՇՈՒՅԹՈՒԹՈ	37
ՀԱՆՑՐՈՒՅԼՈՒԾՈՒՆՈՎՈՍ ՄԱՎԵՆ ԻՎԵՇՈՒԾԵԲԱՆՈ . . .	44
ՑՈԽՈՎԱՇՐՈ ԿՇՈՒՅԹՈՒՐԱ	51
ՍԵՎԵԾՈՒՐՈՎՈ ԿՇՈՒՅԹՈՒՐՈՎՈ ԽՈԳՈՂԵՐՈՒ ՍԱԿՈՒԹՅՈ	59

ՀԵՇՈՒՅԹՈՒՐՈ Ա. Ք Ե Ր Ը Ո Վ

ԾԱՇԱԾԱ ԲԱՆԹՄԵՋԱԾ 1/VIII 1949 թ. ԵՎՇՈՒՅԹԵՐՈՒՅՈ
ՔԱՆԱՑՔԵՑ 24/VIII 1949 թ. ԱՆԱՑԿՈՒՅՆ ՑՈՒՄԱ 4X6.
ՈՒՅ ՍԱՏԻԱՑՑՈ ԶԱ 1,17 ՏԱՎՈՒ. ՀԱՐԿ. ՏԵՎԱՎՈՒՈ
Ն 2779, յմ 00006. ՑՈՒՄԱ 4000.

ԱԺԱՐՈՒ ԱՍՏԻ ԶՋ. ԹԻՐԵՆ. ՏԱՄՈՒՆՈՒՅՆ Ա. ՅԱՆՈՒՄՈՒ
ԹԻՐԵՆՎՈՐՄՔՈՒՆԱՑՈՒ ՍՏԱՄՑԱ-ԸՆ ԾՈՂԻՐԱՑՈՒԱ

ფასი 1 მან.

14/4

Ир. Басилия
ЛИЧНАЯ ГИГИЕНА

На грузинском языке
Госиздат Аджарской АССР

Батуми

1949